



ახალი აქალითლება

11-17.04.2019

№13 (847) ბაზოლის 1998 წლიდან

www.akhaliganatleba.ge

ინტეგრირებული ჯალასის ახალი მოღვაწე აუტიზმის სპექტრის მქონე მოსწავლეებისთვის

ბავშვთა განვითარების ინსტიტუტთან თანამშრომლობით, აუტიზმის სპექტრის მქონე მოსწავლეებისთვის, ინტეგრირებული ჯალასის ახალი მოღვაწე შეიქმნა, რომელიც სკოლის სივრცეში ახსებელი დამხმარე სეხვისია და მისი ძირითადი მიზანი აუტიზტური სპექტრის მქონე მოსწავლეების საგანგებო ჰიმოცესში დახმარება და ინტეგრაციაა. მოღვაწე ერთგვარი სახელმძღვანელოა სკოლებისთვის, მასში აღწეულია ხომოც აუტიზმის სპექტრის ძირითადი მახასიათებლები, სწავლების სტრატეგიები, ასევე ინტეგრირებული ჯალასის ფორმირების ეტაპები, დანერგული გახმოს შეჩვენადან, დამთავრებული მშობლების ჩახთვლობით.

თინათი ჟლანტი

გარემო რომ უჩეთასობისაენ შეიცვალოს

მინდა აღვნიშნო აჭახის მალაღმთიანი ჰეგიონის ჰახტნიოხი სკოლების აქტიური ჩახთვლობა ჰხომგამაში და მოსწავლეების მიღწევები თემში ახსებელი ჰხომბღემების მოგვახებისა და გახმოს გაუმჯობესების ჰხომცესში. მიუხედავად დატვიხთული სასწავლო გხაფიქისა, მოსწავლეები ხაღისით ეხთვებთან სამოქალაქმ განათლების ჰხომგამაში, ხადგან მათთვის მიმზიდველი და გაყიღებით ეფექტური გაგვითიღზე შესწავლილი თეოხიის ჰხაქტიკაში გამოყენება და, ამის საფუძველზე, მათ გახშემომ დაღებითი ცვლილებების განხომციენება.

მინა ქათამაძე



„გაღამართულდა“ რვენი ყოფის ცოცხალი მუზეუმი

„ო, ენავ რემო“ თუ
„პაი, ენავ რემო?!“

გვერდი 4-5

სამოღალო გაკვეთილი

ПОДГОТОВКА К СОЧИНЕНИЮ

ღმანისის №2 საჯარო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის ინესა მანალოვას მიერ ჩატარებული გაკვეთილის გეგმა



გვერდი 6

9 აპრილი 30 წელი



ინტეგრირებული კლასის ახალი მოდელი აუტიზმის სპექტრის მქონე მოსწავლეებისთვის

მაკა ყიფიანი

საქართველოში აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვებისა და მოზარდების ზუსტი რაოდენობა უცნობია, თუმცა აუტიზმის სპექტრის დიაგნოზიდან გამომდინარე, სხვადასხვა სპეციალიზებულ სერვისებში ჩართული ბავშვებისა და მოზარდების რაოდენობა წლიდან წლამდე იზრდება. იდენტიფიცირებული შემთხვევების რაოდენობის ზრდამ, აუტიზმის სპექტრის ამოღობის მქონე მოსწავლეებისთვის შესატყვისი და ეფექტური საგანმანათლებლო გარემოს შეთავაზების თვალსაზრისით, ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლები ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა.

აუტიზმის შესახებ ცნობადობის ამაღლების მსოფლიო დღესთან დაკავშირებით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში, საჯარო სკოლების აუტიზმის სპექტრის მქონე მოსწავლეებისთვის ინტეგრირებული კლასის მოდელის პრეზენტაცია გაიმართა. მოდელი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული ბავშვთა განვითარების ინსტიტუტის მიერ, სამინისტროს „ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის პროგრამის“ „ინკლუზიური განათლების საინფორმაციო და მეთოდოლოგიური მხარდაჭერის“ ქვეპროგრამის ფარგლებში, შეიქმნა.

აუტიზმის სპექტრის მქონე მოსწავლეთა ინტეგრირებული კლასი ეს არის საჯარო სკოლის სივრცეში დამატებითი მომსახურება კლასში აუტიზმის სპექტრის მქონე მოსწავლეების ეტაპობრივი ინტეგრაციისთვის. მოდელი დაფუძნებულია საუკეთესო გამოცდილებაზე და მოსწავლეს ორიენტირებული, რომელიც მომსახურებას მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე იღებს. ინტეგრირებული კლასის მთავარი პრინციპებია: წინასწარი დაგეგმვა, პროცესში ჩართული ყველა რგოლის ინფორმირებულობა, თანამონაწილეობა, თანმიმდევრულობა კლასის ფუნქციონირების პირველი დღიდან, სკოლის გარეთ და შიგნით არსებული რესურსების ინტეგრაციის საჭიროების შესაბამისი გამოყენება. სწავლების მეთოდოლოგია ქვეყნის გამოყენების ანალიზს ეფუძნება.

დღეისათვის, აუტიზმის სპექტრის მქონე მოსწავლეებისთვის, ინტეგრირებული კლასები საქართველოს 10 სკოლაში ფუნქციონირებს. ამ კლასებში არსებულმა რეალობამ ახალი მოდელის შექმნის აუცილებლობა გამოიწვია. 2017 წელს, ინტეგრირებულ კლასებში კვლევა ჩატარდა, გამოიკითხნენ სპეციალისტები, მშობლები და სკოლის წარმომადგენლები. საგაკვეთილო პროცესზე დასწრების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი საჭიროებები – ფიზიკური გარემოს ადაპტაციისა და სპეციალისტების სათანადოდ მომზადება, ადამიანური რესურსების სიმწირე, სწავლების შეთანხმებული მეთოდოლოგიის არარსებობა, საშუალო მასალის, ინვენტარის ნაკლებობა და სხვ. ინტეგრირებული კლასის ახალი მოდელი, კლასში ნაწილობრივი ან სრული ინტეგრაციის მიზნით, საჯარო სკოლის სივრცეში, ორი ტიპის საგანმანათლებლო სივრცეს აერთიანებს: ინტეგრირებულ კლასს და ასაკის შესაბამის კლასს. მოსწავლე სკოლაში ასაკის შესაბამის კლასში ირიცხება და იღებს ინტეგრირებული კლასის მომსახურებას, რომელიც განიხილება, როგორც დამატებითი მომსახურება. ინტეგრირებული კლასი, დამატებითი სპეციალისტების – ფსიქოლოგი, სპეციალური მასწავლებელი, საგნის მასწავლებელი – ჩართულობითა და მოსწავლის მახასიათებლების გათვალისწინებით, თითოეულ მოსწავლესთან ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის შესაძლებლობას იძლევა.

ახალი მოდელის მიზანია, დაეხმაროს სკოლებს აუტიზმის სპექტრის მქონე მოსწავლეებისთვის ინდივიდუალური საჭიროებების და შესაძლებლობების შესაბამისი, საუკეთესო საგანმანათლებლო გარემოს შექმნაში, მათი დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მოსამზადებლად. მოცემული მოდელის მიხედვით, ყველა მოსწავლეს უნდა მიეცეს ინდივიდუალური სპეციალური მასწავლებელი, რომელიც ყველგან მიჰყვება, სადაც კი მოსწავლე მიდის; კლასში მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობაა 8, დასაშვებია ასაკობრივი სხვაობა – 2 წელი. კლასის შემადგენლობაში არიან: ერთი დაწყებითი კლასის მასწავლებელი, სამი ტუტორი/სპეციალური მასწავლებელი, ერთი ფსი-

ქოლოგი-სუპერვიზორი და სამი მოხალისე; ინტეგრირებული კლასისთვის საჭიროა ოთხი ზონა: ინდივიდუალური და ჯგუფური მეცადინეობისთვის, სენსორული დასვენებისა და მასწავლებლის საშუალო ზონა. თითოეული მოსწავლის შეფასების საფუძველზე, დგება ინდივიდუალური, ჯგუფური და ტიპურ კლასში მეცადინეობის განრიგი. მნიშვნელოვანია თანაკლასელებისა და მათი მშობლების მომზადება, აუტიზმის სპექტრის მქონე მოსწავლის კლასში შესვლამდე, ტარდება ღია გაკვეთილი აუტიზმზე და ტოლერანტობაზე. პრეზენტაციას ამზადებს ინტეგრირებული კლასის სპეციალისტი, კლასის დამრიგებელთან ერთად.

ახალი მოდელის წარდგენას ესწრებოდნენ საჯარო სკოლების ადმინისტრაციების წარმომადგენლები, ინტეგრირებული კლასების სპეციალისტები, პედაგოგები, მშობლები და სხვ.

განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინკლუზიური სამმართველოს წარმომადგენელმა, თამარ ჟღენტმა აღნიშნა, რომ ბოლო წლების განმავლობაში ძალიან გაიზარდა აუტიზმის სპექტრის მქონე მოსწავლეების რაოდენობა. შესაბამისად, სკოლები ახალი გამოწვევის წინაშე დადგნენ. „ბავშვთა განვითარების ინსტიტუტთან თანამშრომლობით, ჩვენმა სამინისტრომ, აუტიზმის სპექტრის მქონე მოსწავლეებისთვის, ინტეგრირებული კლასის ახალი მოდელი შექმნა, რომელიც სკოლის სივრცეში არსებული დამხმარე სერვისისა და მისი ძირითადი მიზანი აუტიზმის სპექტრის მქონე მოსწავლეების საგაკვეთილო პროცესში დახმარება და ინტეგრაციაა. მოდელი ერთგვარი სახელმძღვანელოა სკოლებისთვის, მასში აღწერილია როგორც აუტიზმის სპექტრის ძირითადი მახასიათებლები, სწავლების სტრატეგიები, ასევე ინტეგრირებული კლასის ფორმირების ეტაპები, დაწყებული გარემოს შერჩევით, დამთავრებული მშობლების ჩართულობით.“

მისივე თქმით, ინტეგრირებული კლასების პროგრამა 2013 წლიდან დაიწყო და დღეისათვის საქართველოს 10 სკოლაში ფუნქციონირებს. დაგროვილმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ ეს პროცესი სისტემაში უნდა მოექცეს და შეიქმნას მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც ყველა ეტაპს განერს. შემდგომი ეტაპი ახალი მოდელის დამტკიცება და დანერგვის ხელშეწყობა იქნება.

იმ სკოლებში, სადაც ფუნქციონირებს ინტეგრირებული კლასი, ნელ-ნელა მოხდება ახალი მოდელზე გადაწყობა. ყოველი ახალი კლასი კი ამ მოდელის შესაბამისად გაიხსნება. ქალბატონმა თამარმა იმედი გამოთქვა, რომ ეს იქნება ღირებული შენაძინი განათლების სისტემისთვის და ხელს შეუწყობს სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეების განათლების უფლებების რეალიზებას.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა, კლინიკურმა ნეიროფსიქოლოგმა, თინათინ ჭინჭარაულმა აღნიშნა, რომ აუტიზმის სპექტრის მოსწავლეებისთვის ინტეგრირებული კლასის ახალი მოდელი განათლების სამინისტროსთან ერთობლივი მუშაობის შედეგია. მისი მთავარი მიზანია, საჯარო სკოლის სივრცეში, აუტიზმის სპექტრის მქონე მოსწავლეებისთვის, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს განათლების მიწოდება. ინტეგრირებული კლასი, როგორც დამატებითი მომსახურება, მათ საშუალებას მისცემს, ეტაპობრივად, უფრო ეფექტურად ინტეგრირდნენ თავიანთ კლასებში. ამ მოდელით ბავშვებს საშუალება ეძლევათ, სკოლაში მაქსიმალური მხარდაჭერა მიიღონ და გავიდნენ შედეგზე. შედეგი კი აუტიზმის სპექტრის მქონე მოსწავლეებისთვის არის განათლების მიღება, მათი თანატოლების მიწოდების მხარდაჭერით.

„ამ მოდელთან დაკავშირებით ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ძალიან მკაფიოდ განისაზღვრა, რა ტიპის ცოდნა უნდა ჰქონდეს სპეციალისტებს, რა მოდელს უნდა ეფუძნებოდეს სწავლის მეთოდოლოგია. ამ შემთხვევაში, გამოვდივართ საუკეთესო სავარაუდოების პრაქტიკიდან და ვეფუძნებით ქვეყნის გამოყენებით ანალიზს, როგორც წარმართულ პრინციპს, რამაც ძალიან გაამართლა. ამის საუკეთესო მაგალითია თბილისის 55-ე საჯარო სკოლაში განუღებელი მუშაობა. კვლევამაც აჩ-



ვენა, რომ მსგავსი მიდგომა და ამ მოდელზე დაფუძნებული სწავლება ამართლებს“ – ამბობს ქალბატონი თინათინი.

„მეორე წელია, რაც ინტეგრირებული კლასის ფსიქოლოგი ვარ. როდესაც ახალ მოდელს გავეცანი, პირველ რიგში, ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო კლასში მოსწავლეთა რიცხობრივი სიმცირე, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, – განაცხადა მარიამ შუკაიძემ, 55-ე საჯარო სკოლის ინტეგრირებული კლასის ფსიქოლოგმა – ინტეგრირებულ კლასში 8 ბავშვი სრულიად ადეკვატურია. ჩვენ შევფასეთ ისინი უნარების მიხედვით. მოდელი მაქსიმალურად მორგებულია საგაკვეთილო პროცესზე. მოლოდინები დასაწყისიდანვე დიდი გვექონდა. შედეგებით კმაყოფილი ვართ, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ ბევრი სირთულეა დასაძლევია – არის სპეციალისტების ნაკლებობა, მცირეა მოხალისეების რაოდენობა, რომელთა მოძიება ძალიან გვიჭირს. მოხალისეებს, რომლებიც სამი თვის განმავლობაში იმუშავებენ ინტეგრირებულ კლასში, შესაბამისი ცნობა მიეცემათ. ვფიქრობ, ესეც გარკვეულში მოტივაციაა.“

ქალბატონმა მარიამმა აღნიშნა, რომ ინტეგრირებული კლასის სპეციალისტები ორიენტირებული არიან აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვების მაქსიმალურად ჩართულობაზე სადამრიგებლო კლასებში, სხვა ბავშვებთან ერთად. სისტემატურად მუშაობენ არა მხოლოდ აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვებთან და მათ მშობლებთან, არამედ მათი კლასელების მშობლებთანაც. „საქმის კურსში ვაყენებთ და ვაცნობთ მათ მომავალ კლასელებს, რათა ისინი მომზადებული შეხედნენ თანატოლებს, რომელთაც, პირველ რიგში, თანადგომა და მხარდაჭერა სჭირდებათ.“

თანადგომა და მხარდაჭერა აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვებს მართლაც ყველაზე მეტად სჭირდებათ. სამწუხაროდ, დღესდღეობით, უმეტესი მათგანი ელემენტარულ სერვისებსაც კი მოკლებულია. რეაბილიტაციის პროგრამაში ჩართვის მომლოდინეთა სია ძალიან გრძელია და პროგრამაში ახალი ბავშვის ჩართვა მხოლოდ მაშინ ხერხდება, თუ ვინმე, ვინც ამ მომსახურებას უკვე იღებს, გამოეთიშება.

მნიშვნელოვანია, რომ აუტიზმის სპექტრის აშლილობის ან ნებისმიერი ტიპის განვითარების დარღვევის მქონე ბავშვები იზრდებოდნენ და ვითარდებოდნენ ტიპური განვითარების მქონე ბავშვებთან ერთად, აუტიზმის სპექტრის მთავარი ნიშნები ხომ სწორედ კომუნიკაციისა და სოციალიზაციის დეფიციტია. ინტეგრირებული კლასის ახალი მოდელი, როგორც საჯარო სკოლის სივრცეში აუტიზმის სპექტრის მქონე მოსწავლეების ეტაპობრივი ინტეგრაციის დამატებითი მომსახურება, უდავოდ, დიდ დახმარებას გაუწევს მათ განათლების უფლების რეალიზებაში.



სამოქალაქო განათლება

ბარემო რომ უკეთესობისკენ შეისვალოს

მაკა ყიფიანი

სამოქალაქო განათლების პროგრამა, USAID-ის დაფინანსებითა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, სპორტის და კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით, ამ ეტაპზე, საქართველოს 230 სკოლაში ხორციელდება. პროგრამის მიზანია სკოლებში სამოქალაქო განათლების სწავლების ხარისხის გაუმჯობესება და მოსწავლეებისთვის ნასწავლის ყოველდღიურ ცხოვრებაში გადატანაში ხელშეწყობა.

ბათუმის 29-ე საჯარო სკოლაში, აჭარის სხვადასხვა მუნიციპალიტეტის სკოლების მოსწავლეებმა, სამოქალაქო განათლების პროგრამის „მომავლის თაობა“ პროექტების შედეგები წარმოადგინეს და სამოქალაქო განათლების მნიშვნელობაზე ისაუბრეს. ნაადრევი ქორწინების უარყოფითი შედეგები, თანატოლთა შორის ჩავჯვრის შემცირება, თამბაქოსა და კანაფის მოხმარების ნეგატიური ზეგავლენა, საგზაო უსაფრთხოება, ჯანსაღი კვების საკითხები, ბუნებრივი კატასტროფებისგან მიყენებული ზიანის შემცირება – ამ და კიდევ სხვა აქტუალურ, მნიშვნელოვან თემებზე მოსწავლეების მიერ შექმნილმა და სკოლებში განხორციელებულმა პროექტებმა დიდი მოწონება დაიმსახურა.

სოფელ აჭყვას საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების კლუბის „ზევისი“ (პედაგოგი – ნინო გათენადე) მოსწავლეებმა პროექტი „არა ძალადობას“ განახორციელეს. ცნობიერების დონის განსაზღვრის მიზნით ჩატარეს კვლევა, სამართლებრივი რეგულაციებისა და სკოლაში ძალადობის ფაქტების, მათი აღმოფხვრის და სადამსჯელო ღონისძიებების გატარების მიზნით, შეხვედრენ უზნის რწმუნებულს, დისციპლინარული კომიტეტის წარმომადგენელს, ფსიქოლოგს. პროექტის მონაწილეებმა გამართეს საინფორმაციო აქცია „არა ძალადობას“ და ამავე თემაზე ჩატარეს თანასწორგანმანათლებელთა ტრენინგი.

ბათუმის 29-ე საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების კლუბის „ერთმანეთისთვის“ (პედაგოგი – რუსუდან ფალავა) წევრების ინიციატივა იყო „არა კანაფის და თამბაქოს მოხმარებას“. მათაც, ცნობიერების დონის დადგენის მიზნით, თემში ჩატარეს გამოკითხვა თამბაქოს და კანაფის მავნელობის შესახებ, დაარიგეს საინფორმაციო ბროშურები, გამოაცხადეს ნახატების და სლოგანების კონკურსი, რომელშიც პარტნიორი სკოლები მონაწილეობდნენ. მოეწყო სპორტული მარათონი.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ჩაისუბნის №2 საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბის „სხივი“ (პედაგოგი – თამილა რიონიძე) მცირე საგრანტო პროექტი იყო „არა ნაადრევ და იძულებით ქორწინებას“. საკლასო პროექტი X კლასის მოსწავლეებმა დაგეგმეს და პირველი ნაბიჯი აქაც თემში კვლევის ჩატარება იყო, მოქალაქეთა აზრის გამოსავლენად, ნაადრევი და იძულებითი ქორწინების შესახებ.

„ჯანსაღი დღე იწყება ჯანსაღი ცხოვრებით“ – ასე ერქვა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო წინსვლის საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების კლუბის „წინსვლა“ მოსწავლეების მიერ განხორციელებულ პროექტს. მუშაობის პროცესში მოსწავლეები შეხვედრენ სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელს, რომელიც მათ ჯანსაღი კვების მნიშვნელობაზე ესაუბრა, დაბალი კლასის მოსწავლეებს ტრენინგი ჩაუტარეს. პროექტის ფარგლებში, მოეწყო ფესტივალი „ჯანსაღი დღე იწყება ჯანსაღი ცხოვრებით“.

აქტუალური და საინტერესო იყო ქობულეთის მუნიციპალიტეტის №6 საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების კლუბის „თემიდა“ (პედაგოგი – დარეჯან ცენტრაიძე) მეაქვასელების მიერ შემოთავაზებული პროექტი „მოხატე უსაფრთხოება“. პატრულის თანამშრომელმა მოსწავლეებს ქუჩაში უსაფრთხოებას დაადაგილებს, საგზაო წესების დაცვისა და სამართლებრივი რეგულაციების შესახებ მიაწვდინა ინფორმაცია. მოსწავლეებმა ითანამშრომლეს საგზაო დეპარტამენტთან და ქალაქის მერიასთან. მათი მხარდაჭერით, ერთობლივად, მოხატეს „ზებრა“ გადასასვლელი. პროექტში ჩართულმა მოსწავლეებმა მოაწყვეს აქცია „მე ვიჩიქე უსაფრთხო გადაადგილებას“ – დაასუფთავეს სანიღვრე არხები, რომელიც იწვევდა საავალი გზის დატბორვას; მოუწოდეს მოსახლეობას, არ დაანაგვიანონ გარემო და დადგეს გამაფრთხილებელი საინფორმაციო ბანერი; სკოლაში ჩატარდა ნახატებისა და სლოგანების კონკურსი უსაფრთხო გადაადგილების თემაზე. მოეწყო საუკეთესო ნამუშევრების გამოფენა, გამოვლინდა საუკეთესო ნამუშევრის ავტორი. პროექტის ფარგლებში, მოსწავლეებმა პროგრამის პარტნიორ სკოლებთანაც ითანამშრომლეს. მოსწავლეებისთვის ჩატარეს საინფორმაციო შეხვედრები საგზაო უსაფრთხოებაზე და საგზაო წესების დაცვაზე.

ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ წონიარისის საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების კლუბის „ნიკე“ (პედაგოგი – იზოლდა ბარამიძე) მოსწავლეებმა საკლუბო პროექტი „ბუნებრივი კატასტროფა და მათი შემცირების გზები ქედის რაიონში“ წარმოადგინეს. პრევენტივაზე არა მარტო კვლევის შედეგებზე ისაუბრეს, არამედ იმაზეც, რამდენად მზად არიან ქედის მერია და შესაბამისი სამსახურები ბუნებრივი კატასტროფებთან გასამკლავებლად. დაბალი კლასის მოსწავლეებს ამ თემაზე ტრენინგი ჩაუტარეს. დაამზადეს მაკეტები, რომლის საშუალებითაც მეწყერის იმიტაცია აჩვენეს.

მოსწავლეთა პროექტები მოიწონეს აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) საქართველოს მისიის დირექტორმა, პიტერ ვიბლერმა, USAID-ის დემოკრატიის მმართველობისა და სოციალური განვითარების ოფისის დირექტორმა, ადამ შმიდტმა, სამოქალაქო განათლების დირექ-



ტორმა, მარინა უშვერიძემ, ბათუმის განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრის დირექტორმა, მაია ქათამაძემ. ღონისძიებას, რომელიც სამოქალაქო განათლების პროგრამის „მომავლის თაობა“ ფარგლებში გაიმართა, ესწრებოდნენ რეგიონის სკოლების მოსწავლეები, პედაგოგები, საგანმანათლებლო რესურსცენტრების წარმომადგენლები.

პროგრამის „მომავლის თაობა“ წარმომადგენელმა, მაია ქათამაძემ გვითხრა, რომ პროგრამა აჭარის რეგიონში საკმაოდ წარმატებით ხორციელდება ენერჯული, მოტივირებული მოზარდების და აქტიური სამოქალაქო განათლების პედაგოგების მონაწილეობით. „მინდა აღვნიშნო აჭარის მალაშვილი რეგიონის პარტნიორი სკოლების აქტიური ჩართულობა პროგრამაში და მოსწავლეების მიღწევები თემში არსებული პრობლემების მოგვარებისა და გარემოს გაუმჯობესების პროცესში. მიუხედავად დატვირთული სასწავლო გრაფიკისა, მოსწავლეები ხალხით ერთვებიან სამოქალაქო განათლების პროგრამაში, რადგან მათთვის მიმზიდველი და გაცილებით ეფექტურია გაკვეთილზე შესწავლილი თეორიის პრაქტიკაში გამოყენება და, ამის საფუძველზე, მათ გარემო დადებითი ცვლილებების განხორციელება“.

„მოხარული ვარ, რომ სამოქალაქო განათლების შესახებ შეგვიძლია სხვადასხვა სკოლის წარმომადგენლებს ვესაუბროთ – აღნიშნავს პიტერ ვიბლერი, – შეერთებული შტატები ყოველთვის მზადაა მხარდაჭერის აღმოსაჩენად. ჩვენი მიზანია, დავეხმაროთ ქართველ ახალგაზრდებს, რათა მათ გაიზარონ თავიანთი როლი ქვეყნის განვითარებაში. ამიტომაც გვახარებს მსგავსი ტიპის პროექტებში მოსწავლეების ჩართულობა“.

მარინა უშვერიძე მიიჩნევს, რომ სამოქალაქო განათლება არის სწავლება კეთებით, რასაც პროექტული სწავლება ჰქვია. ეს ძალიან კარგი მეთოდია იმისთვის, რომ თეორია არ დაჩქეს მხოლოდ თეორიად და ბავშვებმა ყველაფერი პრაქტიკაში გადაიტანონ, დაუკავშირონ ყოველდღიურ ცხოვრებას. სამოქალაქო განათლების ხარისხიანად სწავლებისთვის სამი კომპონენტია საჭირო – ხარისხიანი სახელმძღვანელოები, კარგად მომზადებული პედაგოგი და მოსწავლეთა მიერ ნასწავლის პრაქტიკაში გადატანა, ანუ მოსწავლეთა პროექტების მხარდაჭერა. „ჩვენი პროექტი ორიენტირებულია სკოლებში სამოქალაქო განათლების სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე. სამოქალაქო განათლება ისეთი საგანია, რომლის სწავლება მხოლოდ თეორიით შეუძლებელია. სათემო აქტივობებითა თუ პროექტების დაგეგმვით, მოსწავლეებმა შეისწავლეს შედეგები ჩვენებისათვის როგორ უნდა შეუწყონ ხე-

ლი თანატოლებსა და უმცროსკლასელებში, მაგალითად, ჯანსაღი ცხოვრების შესახებ ცნობიერების ამაღლებას“ – ამბობს ქალბატონი მარინა.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის №6 საჯარო სკოლის მოსწავლე ვასილ სილაგაძე პროექტში მონაწილეობით კმაყოფილია და აღნიშნავს, რომ მსგავს პროექტებში მოსწავლეების აქტიური ჩართვა მნიშვნელოვანია. „პროექტის ფარგლებში „ზებრა“ გადასასვლელი მოვხატეთ. ჩვენი მიზანი იყო, დაბალი კლასების მოსწავლეებისთვის ავემალეებინა ცნობიერება საგზაო უსაფრთხოების კუთხით. პროექტის „საგზაო უსაფრთხოება“ ფარგლებში, მოსწავლეთა ინფორმირებისთვის, I-VI კლასებში სემინარები და ტრენინგები ჩატარდა“.

ბათუმის 29-ე საჯარო სკოლის მოსწავლე თემურ ხვედელი ამბობს, რომ ის და მისი მეგობრები, მომავალში, პროექტს უფრო მასშტაბურსა და მრავალფეროვანს გახდიან: „ჩვენ ვიმუშავებთ პროექტზე „არა თამბაქოს და კანაფის მოხმარებას“. მოვიწვიეთ დაინტერესებული მხარეები, თანატოლები და გავაცანით ჩვენი პროექტი. მიხარია, რომ მოწვეულმა სტუმრებმა მოიწონეს ჩვენი პროექტი. მასზე მუშაობას მომავალშიც გავაგრძელებთ“.

აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო განათლების პროექტებში აქტიურად ერთვებიან მშობლებიც. პროექტის მონაწილე ვასილ სილაგაძის მშობელი, მაია კობახიძე გვიამბობს, რომ პროექტმა „მომავლის თაობა“ მისი შვილი უფრო მოტივირებული გახადა ახალი საგნის – სამოქალაქო განათლების შესწავლაში. მას სხვადასხვა სახის პროექტის ინიცირებისა და განხორციელების პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობა მიეცა. „პროექტებზე ისე სიღრმისეულად მუშაობს, რომ თავისუფალი დრო თითქმის აღარ აქვს. მაგალითად, მისი ბოლო პროექტის „მოვხატეთ უსაფრთხოება“ ინიცირების და რეალიზაციის დროს ეტყობოდა, რომ ეს პრობლემა რეალურად აღარდებდა, პროექტის გასაუმჯობესებლად კი ბევრს ფიქრობდა. ბათუმში რამდენიმე ვიზიტის შემდეგ, უკვე ხალხით მიდის ყოველ შეხვედრაზე და ყველაფერში აქტიურად ჩართვას ცდილობს“.

სამოქალაქო განათლების პროექტები სამოქალაქო განათლების საგნით მოზარდთა დაინტერესებას უწყობს ხელს. მსგავსი აქტივობები მათ სამოქალაქო განათლების საგნის გრძელვადიანი მიზნების გააზრებაში და შედეგად, სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბებაში ეხმარება. სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება კი, შესაბამისი უნარების განვითარებასთან ერთად, სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერების წინაპირობაა.



დედაინის დღე

„ო, ენავ ჩემო“ თუ „ვაი, ენავ ჩემო?!“

ფიქრები, ფიქრები, ფიქრები, როგორც აქლემების ქარავანი ცხელ უდაბნოში, რომელსაც ბოლო არ უჩანს... ჩემი დაუსაბამო ფიქრები კი ქართულ ენას დასტრიალებს (არა იმიტომ, რომ 14 აპრილი ახლოვდება!) „ზოგჯერ თქმა სჯობს არათქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდები!“ (არა იმიტომ, რომ ახლა, სწორედ, რუსთაველს გავდივარ სკოლაში!).

ვფიქრობ იმ ენაზე, რომლითაც „უამი შეინირვის და ლოცვა იყოველი აღესრულების“ (გიორგი მერჩულე) და იმ ენაზე, რომლითაც ვითხრა რუსთაველმა: „რომელმან შექმნა სამყარო, ძალითა მით ძლიერთა“ და ღმერთის მიერ მრავალი ფერით შექმნილ სამყაროში, თუკი რამით დაგვასაჩუქრა ღმერთმა, მათ შორის, უპირველესი, ქართული ენა! იგი ჩვენი რწმენის ბალავარია და კიდევ „ყოველი საიდუმლო ამას ენასა შინა დამარხულ არს!“ (იოანე ზოსიმე). ქართულ ენაში დამარხული ამ საიდუმლოს შესაცნობად თავდაუზოგავად იღვწოდნენ და იხარჯებოდნენ ჩვენი წინაპრები. ხვეწდნენ და ამდიდრებდნენ ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკურ მარაგს, უფრთხილდებოდნენ მშობლიურ ენას – ჩვენი ცნობიერების საუფჯესა და ერის სულიერი კულტურის უშუალო გამომხატველს!

ყველა ქართველის ადამიანური ვალია, დაიცვას ენის

სინმიწმე და მოუაროს მშობლიურ ენას, ეჭირისუფლოს მას გულის კარნახითა და სიყვარულით. რომ მოუაროს, ზედმიწევნით თუ არა, საშუალო დონეზე მაინც უნდა იცოდეს ქართული ენის გრამატიკული ნორმები, წესები, ანუ უნდა სწავლობდეს, სად? სკოლაში, რა თქმა უნდა! – იტყვი, მაგრამ ქართულ ენას (გრამატიკას) საჯარო სკოლების არც ერთ საფეხურზე რომ ცალკე საათი (გაკვეთილი) არ აქვს დათმობილი?! ისწავლება გაკვეთით, ინტეგრირებულად ლიტერატურასთან! როგორ წარმოგიდგენიათ, მაგალითად, ლიტერატურაში გვაქვს აკაკის „თორნიკე ერისთავის“ ან ბახის „თოლია ჯონათან ლეინგსტონის“ საკმაოდ ვრცელი მონაკვეთის გაგება-გააზრება და, ამავდროულად, უნდა დარჩეს დრო, მაგალითად, ისეთი რთული საკითხისათვის, როგორცაა „ორი მსაზღვრელი ერთ საზღვრულთან“. ჩემი ქართულის მასწავლებელი რუსუდან ხობუა ხან ლიტერატურას ჰპარავს საათს, ხან რომელიმე სხვა საგნის მასწავლებელს „გამოსთხოვს“ დროს, ხან გაკვეთილების შემდეგ გვტოვებს, ხან „კლასის საათს“ იყენებს (ამის გაკეთება ადვილი არ არის!). ჩემმა კლასმა გრამატიკის კურსის შესწავლა უკვე დაასრულა და საშუალო დონეზე მაინც ვიცით (უმრავლესობამ), მაგრამ რატომ არ ისწავლება ქართული ენის გრამატიკა ცალკე საგნად?! – არ მინდა რიტორიკულ შე-

კითხვად აღიქვას! 1978 წლის 14 აპრილისა და ახალგაზრდების შემართების შესახებ, ქართული ენის დასაცავად და სახელმწიფო ენის სტატუსის შესანარჩუნებლად, გამიგონია, წამიკითხავს! მაგრამ ის 1978 წლის 14 აპრილი იმიტომ იყო, რომ დღეს ქართული ენა საქართველოს საჯარო სკოლებში ცალკე საგნად, კვირაში ერთი საათი მაინც, არ უნდა ისწავლებოდეს?! მაშინ ნულა გვიკვირს (მე წამდვილად მჭრის ყურს) ქუჩაში, სახლში, სკოლაში, ტელევიზიიდან გაგონილი: „ვსვავ შეკითხვას“, „ვიცვავ“, „კარგად ვგებულობ“, „ვბრძოლობ ხმების მისაღებად“, „ყველა საქართველოს მოქალაქე“, „ისტორიული პიროვნება“, „მე უყურე“, „რითიც ვამაყობ“, „ვინები მოვიდნენ?“, „ვილაცეები“, „გაყიდვა-შია“, „გაჩერებაზე გააჩერე!“ და უამრავი სხვა. მართლაც (პერიფრაზით) „ოჰ“ ან „ვაი, ენავ, ჩემო“, სამწუხაროდ, ჩემს თავს ვუსვამ რიტორიკულ შეკითხვას: „ნახდა ენა?!“ – მერე „ერიც რომ დაეცეს?!“ და მაინც გილოცავთ ქართული ენის დღეს!!!

სალომე ჭილიძე
სსიპ ავთანდილ დეკანოზის სახელობის ქუთაისის №32
საჯარო სკოლის მე-10ბ კლასის მოსწავლე

სწავლავის ამოცანა

როგორ დავებებოთ და ჩავატაროთ ინოვაციური გაკვეთილი

გაჩერებით სწავლება მიეკუთვნება დიფერენცირებული სწავლების მეთოდს, რომელიც ჯერ კიდევ ინოვაციურია. იგი ითვალისწინებს მოსწავლეთა შესაძლებლობებს, წინააღმდეგობას და უნარებს. დიფერენცირება ხდება ცალკეულ გაჩერებაზე, სადაც მოსწავლეს სხვადასხვა სირთულის დავალება ხვდება. გაჩერებით სწავლება შესაძლებელია ჯგუფურად და ინდივიდუალურად, თუმცა მე ავირჩიე ჯგუფური მუშაობის ფორმა, რადგან ჯგუფური მუშაობა ხელს უწყობს პიროვნულ განვითარებას, თანამშრომლობითი (მარეგულირებელი) თვისებების ჩამოყალიბებას, შემეცნებითი უნარების გაუმჯობესებასა და კომუნიკაციური უნარების გამომუშავებას.

მინდა გაგიზიაროთ აღნიშნული მეთოდით გაკვეთილის ჩატარების გამოცდილება:

საბანი: ბიოლოგია
თემა: ჩანასახის განვითარება, მიტოზი
კლასი: VIII

მოსწავლეთა რაოდენობა: 24, მათ შორის ერთი სსმ მოსწავლეა.

გაკვეთილის მიზანი:

- გაეცნობიან და განასხვავებენ ემბრიონული განვითარების ეტაპებს;
- იმსჯელებენ თუ რომელი ორგანოთა სისტემა და რომელი ქსოვილი რომელი ჩანასახოვანი ფურცლიდან წარმოიქმნება;
- დაახასიათებენ მიტოზის ფაზებს და იმსჯელებენ მიტოზის ბიოლოგიური როლის შესახებ;
- შეძლებენ მასალის დახარისხებას, გამთლიანებას, გაანალიზებასა და პრეზენტაციის სახით წარდგენას.

მიზანი სსმ მოსწავლისათვის: პედაგოგის დახმარებით დააღაგებს ემბრიონული განვითარების ეტაპებს და მიტოზის ფაზებს.

სტანდარტთან შესაბამისობა:

ბიო. VIII.8 მოსწავლეს შეუძლია აღწეროს ადამიანის გამრავლების სისტემის თავისებურებები და ჩანასახის განვითარების სტადიები.

სქემატურ გამოსახულებებზე განასხვავებს ემბრიონული განვითარების ეტაპებს (მაგ., ზიგოტა ბლასტომერები, ბლასტულა და სხვა).

საჭირო წინარე ცოდნა და უნარ-ჩვევები:

მოსწავლეებმა იციან მეთოდის მმ (მტკიცება, მტკიცებულება, მსჯელობა) სტრატეგიის გამოყენება სასწავლო პროცესში. შესწავლილი აქვთ სქესობრივი და უსქესო გამრავლების ფორმები, ფლობენ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის გამოყენების ტექნიკას.

სასწავლო მასალა და რესურსები:

სახელმძღვანელო, დამატებითი საკითხავი მასალა, ფანქრები, ფურცლები, კომპიუტერი, პროექტორი, სქემები, პლაკატები, ფორმატის ფურცლები, მარკერები, მიკროსკოპი, მზა პრეპარატები (ჩანასახის განვითარების სტადიები), ჩემ მიერ შედგენილი კითხვები, მათ მიერ შექმნილი სქემები ან პლაკატები.

ეკითხულო სიას, ვაცნოთ გაკვეთილის თემა და მიზანს, ვაგვარებ საორგანიზაციო საკითხებს. მოსწავლეებთან ერთად აღვწერ შეფასების ფორმებს და რუბრიკებს, რომელთაც გამოიყენებენ გაკვეთილის პროცესში, ასევე, ვახსენებ კლასში მუშაობის წესებს.

აქტივობა 1 (4წთ).

აქტივობის მიზანი: წინარე ცოდნას გავაქტიურებ საშინაო დავალების განხილვით, ასევე, კითხვა-პასუხის რეჟიმში, მოს-

წავლევები გაიხსენებენ ადამიანის უჯრედების დანიშნულებას.

კითხვები:

- რომელი უჯრედები იღებენ მონაწილეობას გამრავლებაში?
 - გარდა სასქესო უჯრედებისა, კიდევ რომელი უჯრედები იციან?
 - როგორ, რისი საშუალებით ხდება ორგანოების ზრდა? (კითხვები შეიძლება საგაკვეთილო პროცესის წარმართვისას ჩამოყალიბდეს)
- სსმ მოსწავლეს შევუმოწმებ დავალების სისწორეს, არასწორად შესრულების შემთხვევაში, მივცემ მითითებებს, კითხვა-პასუხის დროს დავუხმებ კითხვას – რა ჰქვია განაყოფიერებულ კვერცხუჯრედს? აქტივობის შედეგს შევფასებ განმავითარებელი შეფასებით (ვაფასებ რა გააკეთა მოსწავლემ, ხარვეზების შემთხვევაში – ვაძლევ რეკომენდაციებს).

აქტივობა 2 (25წთ). ახალი ცოდნის კონსტრუირება

რადგან მოსწავლეები თვითონ გამოიტანენ დასკვნას, რომ განაყოფიერების შემდეგ ზიგოტა მრავალჯერადად იყოფა, შევთავაზებ სახალისო შემეცნებით აქტივობას, რომლის საშუალებითაც გავცნობიან თუ როგორ ხდება უჯრედების დაყოფა და მათგან ჩანასახოვანი ფურცლების წარმოქმნა.

მოსწავლეები გაიყოფიან ჯგუფებად და განლაგდებიან სანყის გაჩერებაზე. თითოეულ გაჩერებაზე მათ დახვდებათ ინსტრუქცია და დავალება, შემოვივლიან და შესარულებენ დავალებებს, სანამ სანყის გაჩერებას არ დაუბრუნდებიან, ე.ი. თითოეულ გაჩერებაზე დაგროვდება მასალა, რომელსაც ჯგუფის რომელიმე წევრი წარმოაჩენს.

I გაჩერება – ვიდეოს ყურება (2წთ-იანი უხმო ვიდეო) და შთაბეჭდილებების მონიშვნა;

II გაჩერება – მიკროსკოპთან მუშაობა: მოსწავლეები ჩაინიშნავენ თითოეული პრეპარატის თავისებურებებს. აქ დახვდებათ ემბრიონული განვითარების სტადიები, ბაყაყის ჩანასახის მაგალითზე (მზა პრეპარატები);

III გაჩერება – სახელმძღვანელოსთან მუშაობა: გაეცნობიან ტექსტს, ასევე დახვდებათ დამატებითი ტექსტი და კითხვები, რომელზეც გასცემენ პასუხებს;

- რა პროცესი უსწრებს მიტოზს?
- რა ხდება ინტერფაზაში?
- რამდენი ფაზისაგან შედგება მიტოზი და რა ხდება თითოეულში?
- რა რაოდენობის ქრომოსომა მიტოზის შედეგად წარმოქმნილ უჯრედში?
- რა ბიოლოგიური მნიშვნელობა აქვს მიტოზს?

IV გაჩერება – საილუსტრაციო პლაკატებზე ჩანასახოვანი შრეების ამოცნობა და წებოვანი ფერადი ფურცლებით შესაბამისი ქსოვილების, ორგანოებისა და ორგანოთა სისტემების მიწებება;

V გაჩერება – მიტოზის სქემის აგება და შესაბამისი წარწერების გაკეთება.

ოთხი გაჩერების ჯგუფური დასკვნები სხვადასხვა ჯგუფის წევრებისთვის უცნობი იქნება, სანამ სანყის გაჩერებას არ დაუბრუნდებიან და ყველა ჯგუფის ჩანაწერების გათვალისწინებით გამოიტანენ საერთო დასკვნებს, რომელთაც გავაცნობენ პრეზენტაციის სახით. რაც შეეხება მეხუთე გაჩერების დავალებას, ყველასათვის ნათელი იყო – გუნდებს უნდა დაესრულებინათ მიტოზის სქემა და მიეწერათ ფაზები. ჯგუფების გადანაწილებისას, სსმ მოსწავლე მეხუთე ჯგუფში იქნება და ის შეძლებს, ჯგუფის წევრების

დახმარებით, მიანეროს მიტოზის სქემას ფაზების სახელწოდებები.

მე ვივლი ჯგუფებს შორის, ჩავეინიშნავ მოსწავლეთა აქტიურობას, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლეებს სათანადო დამატებით ინსტრუქციას მივცემ.

დავალებები სსმ მოსწავლისათვის:

I გაჩერება – რა დამახსოვრდა ფილმიდან – გვიზიარებს შთაბეჭდილებას;

II გაჩერება – გააკეთებს ჩანახატს მიკროსკოპში დანახულის შესახებ;

III გაჩერება – ტექსტიდან ამოინერს ტერმინებს განმარტებით;

IV გაჩერება – მიანეროს ზოგიერთ ორგანოს პლაკატზე;

V გაჩერება – მიტოზის ფაზების მიწერა მოსწავლეების მიერ შექმნილ დასრულებულ სქემაზე. სსმ მოსწავლეს ეძლევა მკაფიო და თანმიმდევრობითი ინსტრუქციები.

აქტივობა 3 (12 წთ). განმტკიცების ფაზა

სანყის გაჩერებაზე დაბრუნებული ჯგუფები, ყველა ჯგუფის ჩანაწერების გათვალისწინებით, გამოიტანენ საერთო დასკვნებს და გავაცნობენ პრეზენტაციის სახით.

აქტივობის შედეგს შევფასებ განმავითარებელი შეფასებით (ვაფასებ რა გააკეთა მოსწავლემ, ხარვეზების შემთხვევაში – ვაძლევ რეკომენდაციებს).

აქტივობა 4 (სარეზერვო 3წთ)

ჩემ მიერ მომზადებული კითხვების დასმის შემდეგ, შემთხვევითობის პრინციპით, ამოვიღებ ჩხირს მოსწავლის სახელით, რომელიც უპასუხებს კითხვას. პასუხის სრულად ვერ ჩამოყალიბების შემთხვევაში, დავსვამ დამაზუსტებელ კითხვებს, სანამ მოსწავლე ვერ შეძლებს ამომწურავი პასუხის გაცემას (საჭიროებიდან გამომდინარე, შეიძლება სხვა კითხვები გამოვიყენო).

კითხვები:

- რა წარმოიქმნება სომატური უჯრედის მრავალჯერადი გაყოფის შედეგად?
 - რა წარმოიქმნება ბლასტულის შემდეგ?
 - რამდენი შრე გამოიყოფა საბოლოოდ და რა ეწოდება მათ?
 - რომელი ორგანოები ყალიბდება ექტოდერმიდან, ენდოდერმიდან და მეზოდერმიდან?
- სსმ მოსწავლე დააღაგებს ემბრიონული განვითარების ეტაპებს, რომელიც სავარჯიშოს სახით, წინასწარ მექნება გამზადებული.

აქტივობა 5 (2წთ).

საშინაო დავალება: მიტოზის ფაზების, ემბრიონის განვითარების ეტაპების, ჩანასახოვანი ფურცლებიდან ორგანოების ჩამოყალიბების სქემატურად გამოსახვა და პრეზენტაცია, ჯუფებში შემთხვევითი გადანაწილებით.

დავალება სსმ მოსწავლეს: ჩემ მიერ წინასწარ გამზადებული მიტოზის სქემაზე ფაზების სახელწოდების მიწერა.

შეფასება: გაკვეთილის მსვლელობისას, თითოეული აქტივობის ბოლოს, მოსწავლეები ფასდებიან განმავითარებელი შეფასებით, ხოლო გაკვეთილის ბოლოს – განმსაზღვრელი შეფასებით, შეფასების სქემის კრიტერიუმების გათვალისწინებით.

თინათინ ბერიძე
ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ტაძრისის
საჯარო სკოლის ბიოლოგიის პედაგოგი

სამოღელო გაკვეთილი

ПОДГОТОВКА К СОЧИНЕНИЮ

პედაგოგობა ერთ-ერთ ურთულესი პროფესიაა და განსაზღვრული უნარ-ჩვევების ფლობას მოითხოვს. კარგი გაკვეთილის ჩასატარებლად პედაგოგს კონსტრუქციული უნარი ესმარება. თუ მას კარგად აქვს განვითარებული ეს უნარი, ის ადვილად და სწორად შეარჩევს და დაამუშავებს სასწავლო მასალას, სინტაქსურ დამატებას და ჩატარებს გაკვეთილს, რაც, საბოლოო ჯამში, მოსწავლეებს გზას უხსნის წარმატებისკენ.

სწორად ასეთი გაკვეთილი ჩატარა ძალაღმადონის №2 საჯარო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა ინესა მანელოვამ, რომელიც, სკოლის სხვა პედაგოგებთან ერთად, მუდმივად ზრუნავს საქართი თავის განვითარებაზე, ჩართულია ტრენინგებში. ამ ტრენინგებიდან და ცოდნიდან გამომდინარე, მოსწავლეებთან სხვადასხვა აქტივობებს ახორციელებს, აქვს სინტაქსურ შეხვედრაზე გავლენა. სწორად თანამედროვე პედაგოგიურ მიდგომებთან ზიარებით და სკოლაში სინტაქსურ გაკვეთილების ჩატარებით ითვლება ის წარმატებულ პედაგოგად.

ПЛАН УРОКА

Table with lesson plan details including teacher name (Инесса Манелова), subject (Русский язык и литература), class (7), and various activities and objectives.

Table with activity descriptions (Описание активности), goals (Цель активности), and objectives (Активность №3-8) for various classroom exercises.

ХОЛИСТИЧЕСКАЯ РУБРИКА ОЦЕНИВАНИЯ

Table for holistic evaluation with columns for 'Неудовлетворительно (3-4 балла)', 'Удовлетворительно (5-6 баллов)', 'Хорошо (7-8 баллов)', and 'Очень хорошо (9-10 Баллов)'.

РУБРИКА РАЗВИВАЮЩЕГО ОЦЕНИВАНИЯ – ВЗАИМООЦЕНИВАНИЕ (РАБОТА В ГРУППАХ)

Table for peer evaluation with columns for 'Критерии', 'достиг', and 'стремится'.

ქიმიის პედაგოგთა დასახარებლად

ცილების სწავლებისათვის

ცილები ყველაზე მნიშვნელოვანი ნივთიერებებია ცოცხალ სამყაროში. ცოცხალი ორგანიზმის დიდი ნაწილი, თითქმის ნახევარი, შედგება ცილებისაგან. იმისათვის, რომ მოსწავლეებმა შეიმეცნონ ქიმიის მნიშვნელოვანი როლი ბუნების და ადამიანის სასიცოცხლო პროცესებში, პირველ გაკვეთილს ვუთმობ სიცოცხლის ქიმიის საკითხების განხილვას. ჯგუფებს ვუწავნილებთ დავალებებს, ვუთითებთ ლიტერატურას და ვავალებთ, მოიძიონ მასალა ორგანიზმში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესების შესახებ. ამ მიდგომით ცილების განხილვა მოსწავლეებს მისცემს საშუალებას, უფრო ნათლად წარმოიდგინონ, რომ ორგანიზმში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესები ქიმიური რეაქციებია, დაავადების მიზეზები და მათი მკურნალობა სწორედ ქიმიურ რეაქციებს უკავშირდება.

1. ქიმიური ელემენტები ცოცხალ ორგანიზმებში

ზოგიერთი ელემენტის გავლენა განისაზღვრება არა მარტო თითოეულ ორგანიზმზე, არამედ გავლენას ახდენს მომავალ თაობებზე. აქედან გამომდინარე, ჯანმრთელ ორგანიზმზე ნივთიერებათა შესაძლო მოქმედების ცოდნა აუცილებელია არა მარტო ექიმებისთვის, არამედ ყველა ადამიანისთვის. ცოცხალი ორგანიზმის უჯრედებში გვხვდება რამდენიმე ათასი ნივთიერება, რომლებიც სხვადასხვა სასიცოცხლო პროცესებში მონაწილეობს. უჯრედის შედგენილობაში შედის პერიოდული სისტემის ელემენტების უმრავლესობა. საინტერესოა, რომ ბაქტერიების, სოკოების, მცენარეების, ცხოველების უჯრედების შედგენილობა ადამიანის უჯრედის შედგენილობის მსგავსია. ცოცხალი ორგანიზმების ქიმიური შედგენილობა მჭიდრო კავშირშია დედამიწის ქერქის და ოკეანეების ქიმიურ შედგენილობასთან. რაც უფრო მცირეა ქიმიური ელემენტების ატომური ნომერი, მით მეტია მისი შემცველობა ორგანიზმში. ცოცხალი სისტემების საფუძველს მხოლოდ ექვსი ელემენტი შეადგენს. ეს ელემენტებია:

Table with 2 columns: ელემენტი (Element) and შემცველობა ადამიანის ორგანიზმში (Content in human body). Rows include Carbon (21%), Hydrogen (9.7%), Oxygen (62.4%), Nitrogen (3.1%), Phosphorus (0.95%), and Sulfur (0.16%).

ამ ელემენტებს ორგანოგენებს უწოდებენ. ორგანოგენები, ძირითადად, წარმოქმნიან წყალში ხსნად ნაერთებს, წყლის შემცველობა ცოცხალ ორგანიზმში 60%-ს აღემატება. ორგანოგენებთან ერთად, უშუალოდ ნივთიერებათა ცვლაში კიდევ ათი ელემენტი მონაწილეობს, მათ „სასიცოცხლო მეტალებს“ უწოდებენ. ეს ელემენტებია:

Table with 2 columns: ელემენტი (Element) and 70კგ ადამიანის ორგანიზმში ელემენტების შემცველობა (ბ) (Content in 70kg human body). Rows include Calcium (1700), Potassium (250), Sodium (70), Magnesium (42), Iron (5), Zinc (3), Copper (0.2), Manganese (0.1), Cobalt (0.1), and Molybdenum (0.1).

ორგანიზმში თავისუფალი კათიონების სახით გვხვდება მხოლოდ ნატრიუმი და კალიუმი; კალციუმი და მაგნიუმი როგორც თავისუფალი კათიონების, ისე ბმული ბიოკომპლექსების სახით, ხოლო დანარჩენი ექვსი მეტალი მხოლოდ ბიოკომპლექსების სახითაა. არსებობს ბიოგენური ელემენტების კლასიფიკაციის სხვადასხვა კრიტერიუმები. ორგანიზმში მათი შემცველობის მიხედვით ელემენტები იყოფა სამ ჯგუფად:

- 1) მაკროელემენტები, რომელთა შემცველობა ორგანიზმში 10⁻²-ზე მეტია – O, C, H, N, P, S, Ca, Mg, Na, Cl;
2) მიკროელემენტები, რომელთა შემცველობა ორგანიზმში 10⁻³-ის ფარგლებში მერყეობს – I, Cu, Ag, F, Br, Sr, Ba, Co და სხვ.;
3) ულტრა მიკროელემენტები, რომელთა შემცველობა ორგანიზმში 10⁻⁵-ზე ნაკლებია – Hg, Au, U, Th, Ba.

ესენციური (სიცოცხლისთვის აუცილებელი) 24 ელემენტის ბიოგენურობა დამტკიცებულია. სიცოცხლისთვის აუცილებელი ელემენტების გარდა, ორგანიზმში შეიცავს ბუნებაში გავრცელებულ მრავალ ელემენტს. მათი ნაწილი ორგანიზმისათვის უსარგებლოა, მაგრამ უვნებელი, ნაწილი კი მავნეა. ამიტომ არაბიოგენური ელემენტებიდან ცალკე გამოყოფენ ტოქსიკურ ელემენტებს (Cd, Pb, Hg, Be, Te); თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ მათგანს, უმცირესი დოზებით, ესენციურ ელემენტებად განიხილავენ. მაგალითად, დარიშხანის მიკროკონცენტრაცია ბიოსტიმულატორია. ამრიგად, არ არსებობს ტოქსიკური ელემენტები, არსებობს ტოქსიკური დოზები. ელემენტები, მცირე დოზებით, შეიძლება იყოს წამალი, ხოლო დიდი დოზით – საწამლაკი.

2. ქიმიური ელემენტების ბიოლოგიური როლი

ქიმიური ელემენტების ბიოლოგიური როლი ადამიანის ორგანიზმში ძალზე მრავალფეროვანია, კლასიფიკაცია ხდება მათი როლის მიხედვით ცოცხალ ორგანიზმებში:

- 1. ფუნქციონალური როლი
ა) ორგანოგენები (C, H, O, N, P, S);
ბ) ელემენტები, რომლებიც ქმნიან ელექტროლიტურ ფონს (Na, K, Ca, Mg, Cl);
გ) ელემენტები, რომლებიც არეგულირებენ ბიოქიმიურ პროცესებს, რომლებიც შედის ფერმენტებისა და ჰორმონების შედგენილობაში (Fe, Cu, Mn).
2. ორგანიზმებში ელემენტების კონცენტრაციის მიხედვით, გამოვლენილია არაერთი დავალება, რომელიც სხვადასხვა ბიოგენური ელემენტების სიჭარბეს ან უკმარისობას უკავშირდება. აქედან გამომდინარე, ქიმიური ელემენტების ბიოლოგიური როლის შესწავლა ხელს უწყობს ახალი სამკურნალო პრეპარატების შექმნას და მათი დოზირების ოპტიმალური რეჟიმების შემუშავებას როგორც სამკურნალო, ისე პროფილაქტიკური მიზნით. ორგანიზმის ნორმალური ფუნქციონირებისათვის, ორგანიზმში შენარჩუნებული უნდა იყოს მიკროელემენტების შემცველობის ოპტიმალური დონე – „მიკროელემენტური ჰომეოსტაზი“.

3. ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები

ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებია: ფერმენტები, ვიტამინები, ჰორმონები.

ფერმენტები მონაწილეობენ ორგანიზმში საკვების გადამუშავების პროცესში. ცილების სინთეზის და დაშლის პროცესებში. მონაწილეობენ სუნთქვის, ფსიქონევრულ და გამრავლების პროცესებში. ფერმენტების გარეშე არ არსებობს სიცოცხლე. ადამიანის მრავალი დაავადების მიზეზი სწორედ ფერმენტული პროცესების დარღვევაა.

ვიტამინებიც ბიოლოგიურად აქტიური ორგანული ნივთიერებებია, რომლებიც მონაწილეობენ ნივთიერებათა ცვლის პროცესებში მცირე დოზებით. ვიტამინები ზრდის იმუნიტეტს, ხელს უწყობს ტოქსიკური ნივთიერებების გამოდევნას ორგანიზმიდან.

ჰორმონები ნივთიერებებია, რომლებიც გამოიმუშავდება შინაგანი სეკრეციის ჯირკვლებში, ზოგიერთ უჯრედში გადადის სისხლში, მიეწოდება მთელ ორგანიზმს და იწვევს ორგანიზმის ბიოლო-

გიურ გააქტიურებას. ჰორმონები არ მონაწილეობენ უჯრედში მიმდინარე ქიმიურ პროცესებში.

4. ცოცხალ ორგანიზმში მიმდინარე მნიშვნელოვანი ქიმიური რეაქციები

ცოცხალ ორგანიზმებში მიმდინარეობს სხვადასხვა ტიპის ქიმიური რეაქციები: პროტოლიტური, პეტეროგენური, ჟანგვა-აღდგენითი და კომპლექსნარმოქმნის პროცესები.

პროტოლიტური რეაქციების მიმდინარეობის დროს ხდება პროტონის გადატანა მჟავიდან ფუძეზე. მაგ., CH3COOH+H2O ⇌ CH3COO-+H3O+ პროტოლიტურ რეაქციებს მიეკუთვნება ფუძეების და მჟავების ურთიერთქმედება, ასევე ჰიდროლიზის და გამხსნელის ონიზაციის პროცესები. ეს რეაქციები უდიდეს როლს ასრულებენ ცოცხალ ორგანიზმში. საკვები ნივთიერებების შეთვისების დროს ხდება ცილების ცხიმების და ნახშირწყლების ჰიდროლიზი. პეტეროგენული პროცესები მიმდინარეობს სხვადასხვა ფაზაში მყოფ ნივთიერებებს შორის. ასეთი პროცესები ძვლოვანი ქსოვილების წარმოქმნისა და თირკმელების კენჭოვანი დაავადების დროს ხდება. კომპლექსნარმოქმნის რეაქციები დიდ როლს ასრულებს ადამიანის ორგანიზმში. ამინომჟავები, ცილები, ნუკლეინმჟავები, ვიტამინები, ჰორმონები აქტიურ ლიგანდებს წარმოადგენენ და უკავშირდებიან ბიომეტალების კატიონებს. შედეგად წარმოიქმნება კომპლექსური ნაერთები, რომლებიც სხვადასხვა ბიოლოგიურ ფუნქციებს ასრულებენ. კომპლექსნაერთის მაგალითია ქლოროფილი, რომელიც უდიდეს როლს ასრულებს ფოტოსინთეზის პროცესში. ასევე ჰემოგლობინი, რომელიც უდიდეს როლს თამაშობს ორგანიზმში – სწორედ ჰემოგლობინით ხდება ჟანგბადის მინოდება ქსოვილებში. უკანასკნელ ნაწილში სულ უფრო მეტად იზრდება გარემოს დაბინძურება ტოქსიკური ელემენტებით (Pb,Hg, Cd), ეს მეტალები ორგანიზმში იწვევენ არა მარტო მეტაბოლური პროცესების მოშლას, არამედ ძალზე მძიმე ინტოქსიკაციას, ავთვისებიან დაავადებებს და სხვ. პათოლოგიური პროცესების ქიმიური შეიძლება აიხსნას შემდეგნაირად: აღნიშნული მძიმე მეტალების იონები ურთიერთქმედებენ ორგანიზმში არსებულ კომპლექსებთან. პირობითად ორგანიზმში არსებულ კომპლექსს თუ გამოვსახავთ MxLz-, რაც ნიშნავს ბიოგენური მეტალი დაკავშირებულია ბიოგენურ ლიგანდთან. ინტოქსიკაციის შემთხვევაში, ტოქსიკური მეტალი Mტ უკავშირდება ბიოლიგანდს და ბიოგენური მეტალი გამოიქვლება ორგანიზმიდან. პროცესი სქემურად ასე შეიძლება გამოისახოს: MxLz+ Mტ MტLz+Mბ თუ MტLბ შემცველობა ჭარბობს ორგანიზმში არსებული კომპლექსის MxLz შემცველობას, მაშინ ტოქსიკური მეტალი გროვდება ორგანიზმში და იწყება ტოქსიკოზი. ტოქსიკოზი შეიძლება გამოიწვიოს არა მარტო ტოქსიკურმა მეტალებმა, არამედ ბიოგენური მეტალების სიჭარბემ და ნაკლებობამ, ან ორგანიზმში ტოქსიკური ლიგანდების წარმოქმნამ, რომელიც შეიძლება ორგანიზმში ზოგიერთი ცილოვანი ნივთიერების დაშლით განხდეს. ასეთი ლიგანდები ბოჭავს ორგანიზმში არსებულ სპილენძის იონებს, რომლებიც აუცილებელია სასიცოცხლო ფერმენტების წარმოქმნისათვის, თუ მოხდა ამ ფერმენტების წარმოქმნის ბლოკირება, ორგანიზმში პათოლოგიური პროცესები ვითარდება. ტოქსიკურ მეტალთა იონებისგან ორგანიზმის დეტოქსიკაციას ახდენენ ისევე კომპლექსნაერთების წარმოქმნით. ორგანიზმში შეჰყავთ ისეთი ლიგანდები, რომელიც უფრო მდგრად კომპლექსებს წარმოქმნიან, ვიდრე MტLბ. ამ დროს ტოქსიკური მეტალი უკავშირდება ორგანიზმში შეყვანილ ლიგანდს, წარმოქმნის უფრო მდგრად კომპლექსს და გამოიყოფა ორგანიზმიდან. ჟანგვა-აღდგენითი რეაქციები უდევს საფუძვლად ნივთიერებათა ცვლის მეტაბოლიზმის პროცესებს ცოცხალ ორგანიზმში. როგორც ვიცით, ჟანგვა-აღდგენითი რეაქციებში ხდება ელექტრონების გადასაცვლება რეაგენტებს შორის. აერობული მეტაბოლიზმის პროცესებში ძირითადი მჟანგავია, მოლეკულური ჟანგბადი, რომელიც სუნთქვის შედეგად ხდება ორგანიზმში, ხოლო აღმდგენი – ორგანული ნაერთი, საკვები ნივთიერებები, ხოლო ანაერობული მეტაბოლიზმის პროცესებში მჟანგავიც და აღმდგენიც ორგანული ნაერთებია. სხვადასხვა ელემენტების გავლენას ცოცხალ ორგანიზმზე უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო მკურნალობისთვის, არამედ პროფილაქტიკისთვისაც. მედიცინის შემდგომი განვითარება დაკავშირებულია სწორედ ამ მიმართულებასთან. დღითი დღე იზრდება ინფორმაცია და ნათელი ხდება, რომ ზოგიერთ მეტალთა იონების შემცველობა პირდაპირ კავშირშია საუკუნის ისეთ დაავადებებთან, როგორებიცაა კიბო და გულსისხლძარღვთა დაავადებანი. ხდება მოძიებული მასალის პრეზენტაცია.

მეორე გაკვეთილი დაეთმობა ცილის აღნაგობის, სტრუქტურების განხილვას, მესამე გაკვეთილი – ცილების ქიმიური თვისებების შესწავლას.

ბაკავთილის გეგმა

სწავლების საფეხური/კლასი: საშუალო/XI კლასი
ბაკავთილის ტიპი: პრობლემაზე ორიენტირებული
ბაკავთილის თემა: ცილების ქიმიური თვისებები
ბაკავთილის მიზანი: ცილების შესახებ მიღებული ცოდნის გააქტიურება და დაკავშირება ახალ მასალასთან. მოსწავლემ შეძლოს მსჯელობა ცილების გავრცელებაზე, აღნაგობაზე, მის მნიშვნელობაზე სასიცოცხლო პროცესებში. გაიხსენოს ბიოლოგიასა და ქიმიაში, წინმსწრებ თემებში, მიღებული ცოდნა და დააკავშიროს ცილების ქიმიური თვისებები მის აღნაგობასთან. ექსპერიმენტულად გამოიკვლიოს ცილების ზოგიერთი თვისება.

კავშირი ესბ-სთან
კვლ.XI.1. მოსწავლეს შეუძლია განსაზღვროს კვლევის საგანი, მონაცემთა ანალიზი და შეფასება.

კვლ.XI.5. შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:
აკავშირებს ორგანული ნაერთების თვისებებს ნაერთში შემავალ ფუნქციურ ჯგუფთან. აკავშირებს ორგანულ ნაერთთა უმნიშვნელოვანეს თვისებებს მათ გამოყენებასთან მედიცინაში, ყოფა-ცხოვრებაში, სოფლის მეურნეობასა და ტექნიკაში.

ქიმ.XI.5. ორგანული ნაერთების სპეციფიკურ თვისებებს ხსნის მათ მოლეკულაში შემავალ ატომთა ან ატომთა ჯგუფების ურთიერთგავლენით.
მისაღწევი შედეგები: მსჯელობს ცილების ფიზიკურ და ქიმიურ თვისებებზე, აღნაგობიდან გამომდინარე. იკვლევს ცილის ხსნადობას, აღმოაჩენს რეაქციებს.

Table with 5 columns: აქტივობის აღწერა (Description of activity), გამოყენებული მეთოდი/ მეთოდები (Method used), კლასის ორგანიზების ფორმა/ფორმები (Class organization format), სასწავლო რესურსები (Resources), დრო (წთ) (Time). Rows include 'პატივმოპა 1 საორგანიზაციო საკითხები...' and 'ზეპირსიტყვიერი, დიალოგი, დისკუსია'.

ქიმიის პედაგოგთა დასახეარება


<p>7. რას ეწოდება ცილის მეოთხეული სტრუქტურა? 8. რა ინვესს მეთოდული სტრუქტურის სტაბილიზაციას? 9. რა იცით ბიოლოგიიდან, ქიმიის წინა გაკვეთილებიდან ცილების შესახებ სასიცოცხლო პროცესებში? აპტივობა 2 დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემისას, მოსწავლეები მსჯელობენ ამინომჟავების ამფოტერულ ბუნებაზე, რაც გამოწვეულია მათი ბიფუნქციური აღნაგობით. ამინომჟავების ამფოტერული ბუნებიდან გამომდინარე ხსნიან პეპტიდური ბმების წარმოქმნის უნარს. მსჯელობენ: ცილების სტრუქტურებზე, სტაბილიზაციის მიზეზებზე, ცილის ბიოლოგიურ ფუნქციებზე: ცილების როლზე უჯრედების და ქსოვილების მშენებლობაში; სატრანსპორტო, კატალიზურ და დაცვით ფუნქციებზე. აპტივობა 3 განვიხილოთ ცილების ქიმიურ თვისებებზე: 1. ცილის ჰიდროლიზი; 2. ცილის დენატურაცია; 3. თვისებითი რეაქციები ცილებზე. აპტივობა 4 ჯგუფებს ვაძლევ დავალებას, ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე, მოიფიქრეთ პასუხი კითხვებზე: 1. რა იცით ცილების ხსნადობის შესახებ? 2. რა პირობებში ხდება ცილების შედეგება? 3. ცილოვანი საკვები – ხორცი, კვერცხი – თერმული დამუშავების შემდეგ, რატომ არის უფრო ადვილი შესათვისებელი ორგანიზმისთვის? რატომ მცირდება მასა? 4. რის ადუღებისას, რატომ გადმოდის ქვაბიდან რძე?</p>	<p>ექსპერიმენტზე დაკვირვება, ანალიზი, დასკვნის გამოტანა</p>	<p>მუშაობა ჯგუფში</p>	<p>106თ 126თ</p>	<p>მაგიდებზე მოცემული გაკვეთილები კვერცხის ცილის ხსნარი, საჭირო რეაქტივები. ანალიზის მსვლელობა – ჩაატარეთ ცილის აღმოჩენის რეაქციები: 1. ბიურეტის რეაქცია; 2. ქსანტოპროტეინის რეაქცია. მიცემული ინსტრუქციის მიხედვით ატარებენ აღმოჩენის რეაქციებს. დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემისას, მსჯელობენ: არსებობს ხსნადი და უხსნადი ცილები. რძეში და კვერცხში შემავალი ცილები – კაზეინოგენი და ფიბრინოგენი – ხსნადი ცილებია. კერატინი (თმებში), კოლაგენი (ხრტილში, კანში) – უხსნადი ცილებია. ცილის შედეგება ხდება გაცხელებით, მექანიკური ზემოქმედებით, მჟავების მოქმედებით, რადიოაქტიური დასხივებით და სხვ. ცილები, თერმული დამუშავების შედეგად, განიცდის ჰიდროლიზს და ადვილი შესათვისებელი ხდება ორგანიზმისთვის. რძის ადუღებისას ხდება ცილების შედეგება, ზედაპირზე წარმოიქმნება აირგაუმტარი ფენა. ნებისმიერი სითხიდან გაცხელებისას ხდება სითხეში გახსნილი აირების გამოყოფა, მათი ხსნადობის შემცირების გამო. აირების გამოყოფას ხელს უშლის წარმოქმნილი აფსკი და რძე გადმოდის. რეზიუმე: გასასვლელი ბილეთი: სტრატეგია 3,2,1 შეფასება საშინაო დავალება: პარაგრაფი 25 – ცილები. გვ. 134</p>	<p>რეაქტივები: ცილის ხსნარი, ნატრიუმის ტუტის ხსნარი, შაბამის ხსნარი, კონც. აზოტმჟავა, ხელსაწყოები: სპირტურა, სინჯარები, სინჯარის დამჭერი</p>	<p>დალი გულაია სსიპ - ქალაქ თბილისის №128 საჯარო სკოლის ქიმიის წამყვანი მასწავლებელი</p> <p>86თ</p> <p>შეფასების სქემები</p>
---	---	-----------------------	---------------------------	--	--	---

გამოყენებული ლიტერატურა:
 1. სამედიცინო ქიმია. ბადრი არზიანი. გამომცემლობა „ინტელექტი“;
 2. *Органическая химия, Р. Морисон, Р. Боид, издательство „МИР“;*
 3. *Химия, Н. Кузнецова, Т. Литвинова, А. Левкин, издательство „Вентана-Граф“.*

ინფორმაცია

როსტაურის მუნიციპალიტეტის სოფელ შუასურაში ახალი, მსიკომფორტული სკოლის შენობა გაიხსნა

სკოლა აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით, ინვენტარით და ადაპტირებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებისთვის. მშენებლობისთვის გამოყენებულია თანამედროვე, ენერგოეფექტური და უსაფრთხო სამშენებლო მასალა. პროექტით ასევე გათვალისწინებულია სარეკრეაციო სივრცე, სადაც განთავსებულია აქტივობის კუთხე, მცირე ბიბლიოთეკა და სამასწავლებლო.



თბილისის 51-ე საჯარო სკოლაში 9 აპრილისადმი მიძღვნილი ღონისძიებები გაიმართა

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ, ირინა აბულაძემ, სკოლის მოსწავლეებთან ერთად, 9 აპრილს გარდაცვლილი, ამავე სკოლის 1989 წლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეების, თამარ ჭოველიძის და ნათია ბაშალიაშვილის მეგობრული დაფა გახსნა. მოუწყო ამ დღისადმი მიძღვნილი დოკუმენტური ფილმის ჩვენება, ფოტომასალის გამოფენა და პერფორმანსი. ღონისძიების სტუმრებმა 9 აპრილს გამორულად დალუპული მოსწავლეები კიდევ ერთხელ გაიხსენეს და ქვეყნისთვის ამ დღის მნიშვნელობაზე ისაუბრეს.

პროფესიული განათლების რეფორმის ფარგლებში, ამოქმედდა პროფესიული განათლების დაფინანსების ახალი წესი, რომლის ითვალისწინებს:

- ✓ კერძო პროფესიულ სასწავლებლებში, პრიორიტეტული დარგების მიხედვით, სტუდენტთა ვაუჩერულ დაფინანსებას იმავე ოდენობით, რაც მოქმედებს სახელმწიფო სასწავლებლებში;
- პროფესიული განათლების მასწავლებელთა 30%-ით გაზრდილ ანაზღაურებას;
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსებას, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა გაზრდილი ვაუჩერის ოდენობით, რომელიც ასევე, მოიცავს ადმინისტრაციულ ხარჯებს.
- ✓ ზრდასრული მოსახლეობის უნარების განახლებისთვის, ფორმალური განათლების ფარგლებში, იწყება პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების მოკლევადიანი პროგრამების განხორციელება, რომლებიც სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატით დადასტურდება;
- ✓ 2019 წელს, საქართველოს შვიდ მუნიციპალიტეტში (ჩოხატაური, მარნეული, ახალქალაქი, ბორჯომი, ხაშური, წყალტუბო, მარტვილი) ახალი პროფესიული კოლეჯების მშენებლობა იწყება.

სიახლეები პროფესიულ განათლებაში
 #განათლებისრეფორმა

კვლევა დასახელებული

როგორ დავებოთ მოქნილი სტანდარტული გაკვეთილი

ჭეშმარიტებაა, რომ მასწავლებელმა იცოდეს „სასწავლო პროცესის დაგეგმვა ეროვნული და სასკოლო გეგმების მოთხოვნების შესაბამისად“.

გამონეგვა გულისხმობს მოცემულ საკითხზე, საგანზე ან მოვლენაზე არსებული ცოდნის, განცდების, შთაბეჭდილების გააქტიურებას.

გაკვეთილის გეგმის შედგენისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს მოსწავლეთა წინარე ცოდნა, მათი შესაძლებლობები, გაკვეთილი უნდა იყოს მოსწავლეზე ორიენტირებული და არავითარ შემთხვევაში არ იქნეს უგულვებელყოფილი მოსწავლეთა საჭიროებები და თავისებურებები.

აი, ძირითადი კომპონენტები, რისგანაც უნდა შედგებოდეს გაკვეთილის გეგმა: თემა, მიზანი, აქტივობები (შესაბამისი გაკვეთილის მიზანთან), სასწავლო მეთოდები (შესაბამისი აქტივობასთან), სასწავლო რესურსები, თითოეული აქტივობისთვის საჭირო დრო, კლასის ორგანიზების ფორმები, თითოეული აქტივობის დროს მისაღწევი სავარაუდო შედეგი, შეფასება – გაკვეთილის განმავლობაში მიღებული ცოდნის შეფასების კონკრეტული მეთოდები, გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი შედეგი, თვითშეფასება.

გაკვეთილის გეგმა

სახელი, გვარი: მანანა წულაია

საბანი: მათემატიკა

სწავლების საფეხური/კლასი: დაწყებითი საფეხური, I კლასი

თემა: რიცხვი 10

მოსწავლეთა რაოდენობა: 25, მათ შორის სსსმ მოსწავლე არ ირიცხება

მიზანი: მოსწავლეები გაეცნობიან რიცხვს 10-ს, შეძლებენ მის წაკითხვას, ჩანერას, გაიზარებენ მის რაოდენობით ასპექტს, შეასრულებენ არითმეტიკულ მოქმედებებს დემონსტრირებით და გამოიყენებენ პრაქტიკული ამოცანების ამოხსნისას.

Table with 6 columns: №, აქტივობის აღწერა, მეთოდი/მეთოდები, კლასის ორგანიზების ფორმა, სასწავლო რესურსები, დრო (წთ), თითოეული აქტივობის ბოლოს მისაღწევი შედეგი

Table with 6 columns: №, ახალი გაკვეთილის ახსნისას მასწავლებელი კითხულობს „ზღაპარს – „ზღაპარი რიცხვებზე“ და აცნობს რიცხვ 10-ს. ნაკითხული ზღაპრის ირგვლივ სავამსახურებელი კითხვას.

კვლევა დასახელებული

Table with 5 columns: No., Description, Author, Date, and Status. Row 8: ახალი მასალის განმარტების... Row 9: მასწავლებელი და მოსწავლეები...

Table with 5 columns: No., Description, Author, Date, and Status. Row 10: მასწავლებელი კლას/მოსწავლეს მისცემს განმარტებულ შეფასებას...

გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი შედეგები: მათ. I.1. მოსწავლეს შეუძლია ერთმანეთს შეუსაბამოს რიცხვები...

- შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე: ირჩევს და ქმნის მოცემული რიცხვის შესაბამისი რაოდენობის საგანთა ერთობლიობას...

მათ. I.3. მოსწავლეს შეუძლია ერთმანეთთან დააკავშიროს თვლა, რიცხვებს შორის დამოკიდებულებები...

- შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე: შეპირდა ანგარიშისას იყენებს 1-ის ტოლი ბიჯით თვლას ან სხვა ხერხს და ახდენს შეკრება-გამოკლების მოქმედებათა ურთიერთშებენულობის დემონსტრირებას...

მანანა წულაია სსიპ ოტია იოსელიანის სახელობის წყალტუბოს №1 საჯარო სკოლის მათემატიკის წამყვანი მასწავლებელი

- გამოყენებული ლიტერატურა: 1. http://mastsavlebeli.ge/wp-content/uploads/2015/12/lobjanidze.pdf; 2. http://mastsavlebeli.ge/?p=9256; 3. https://sites.google.com/site/elektronuli/dagegmva-dokumentireba; 4. დაწყებითი საფეხურის ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა - 2018-2024.

სკორტი

ახალი სკოლის კონსტრუქციის

მიმდინარე წლის 3 აპრილს, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში, სკოლამდელი აღზრდისა და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტთან ერთად, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მინისტრის მოადგილესთან ერთად, საკონსულტაციო-სარეკომენდაციო საბჭოს მორიგი სხდომა გაიმართა...

ამ სამუშაო შეხვედრის მიზანი იყო, საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, დადგენილიყო ინვენტარის მინიმალური და აუცილებელი ჩამონათვალი, რაც საჭიროა სკოლებში სპორტის გაკვეთილების ეფექტურად ჩასატარებლად; ასევე საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, ახალი სკოლების მშენებლობისთვის შემუშავებულიყო სპორტული დარბაზების, გარე მოედნების რაოდენობა და ზომები; უკვე არსებული სკოლების დარბაზებში სათანადო ნორმების დაცვა.

დასაბამი არაა, რომ ქვეყნის სკოლების უმეტესობა, გენბავთ ინვენტარის, გენბავთ ინფრასტრუქტურის მხრივ, კრიტიკას ვერ უძლებს: ბევრგან არ ჰყოფნით ინვენტარი, არა აქვთ მოწესრიგებული სპორტული ბაზები - საკუთრივ სათამაშო მოედნები, გასახდლები, საშხაპეები, ცხელი წერტილები, არცთუ იშვიათად, თავად სპორტული დარბაზი, თუნდაც მინიმალურ დონეზე მოწყობილიც კი, წარმოუდგენელი ფუფუნებაა. ამ მხრივ არა მარტო რეგიონებში, დედაქალაქშიც ხშირად საგანგაშო ვითარებაა - თავად მინახავს დიდი, 1500-ბაგევიანი სკოლების სპორტულ დარბაზში იატაკზე ერთმანეთზე „გადაკერებული“ ფიცრები ან თუნუქის ფენები, გარემოედნებზე ამოტყევილი ან ბალახით დაფარული გრუნტის საფარი, სადაც სირბილიც კი საშიშია ფეხის დაზიანების რეალური საფრთხის გამო, ხოლო ბურთიან სათამაშო სახეობებზე ლაპარაკიც ზედმეტია - ეს, უბრალოდ, შეუძლებელია. თუმცა, ბურთით თამაში არც იმ „გადაკერებულ“ დარბაზშია დიდად კომფორტული - აბა, წარმოიდგინეთ, როგორ იხტუნავენ ამ გადაბმის ხაზზე დაცემული კალათბურთის ბურთი!

სამინისტროს ახლებური მიდგომა იმასაც ითვალისწინებს, რომ ინვენტარი სხვადასხვა მასშტაბის სკოლებს განსხვავებული სჭირდებათ: მცირეკონტინენტისთვის ანუ სადაც 200-ზე ნაკლები მოსწავლეა, სხვა მოთხოვნები აქვს, ვიდრე 500, 1000 და უფრო დიდკონტინენტის სკოლებს. სხდომაზე სწორედ ამ ასპექტში განიხილეს მეორე საკითხი, უკვე არსებულ სკოლებში ინვენტარის მოწესრიგების თაობაზე.

კარგი იქნება, თუ სამინისტრო პირდაპირ და მკაცრად დაავალდებულებს სკოლებს ინვენტარისა თუ ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას, თორემ სპორტი, უმეტეს შემთხვევაში, „გერის როლია“. სამინისტრო იქნებ ახლაც ავალებს, მაგრამ ეს არ კმარა, ვითარების მოსწესრიგებლად რაღაც სხვა მექა-

ნიზმია შესაშუაებელი, თუნდაც ეს აკრედიტაცია იყოს. ამავე დღეებში, ამ თემაზე, სამინისტროში კიდევ ერთი შეხვედრა გაიმართა „ახალი სკოლის მოდელის“ ფარგლებში, სადაც იმსჯელეს, როგორი უნდა იყოს ახალი, თანამედროვე სკოლა, რათა მან სრულად უზაუსუხოს ქვეყნის წინაშე არსებულ გამოწვევებს, დღევანდელ მოთხოვნებს. თუნდაც ახალი სკოლების მშენებლობა ავილოთ, სადაც, ძირითადად, ძველი სტანდარტით აშენებენ სპორტულ დარბაზებს, ოღონდ დღევანდელ სკოლებში გაცილებით მეტია მოსწავლეთა რაოდენობა (ბევრგან 1500-2000-ის ფარგლებშიც კი მერყეობს) და იმ ფართის დარბაზები უკვე პატარაა. ცალკე თემაა, რომ ხშირად, მშენებლობისას, ეკონომიას აკეთებენ ისეთ აუცილებელ დეტალებზე, როგორცაა, მაგალითად, ვენტილაცია დარბაზში. არადა, ამის გარეშე დარბაზი არაა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი.

ახალგაზრდები, დეზიუტანტები და გამოცდილება

ნინო სალუქვაძის სახელობის ტირში ჩატარდა თბილისის ღია პირველობა პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში ახალგაზრდებს შორის, რომელშიც, დედაქალაქის ორივე კლუბთან ერთად, ნინო სალუქვაძის ტირი, სკა და ქუთაისის გუნდიც მონაწილეობდა. სულ 40 სპორტსმენი გამოვიდა, რაც საქართველოსთვის კარგი მაჩვენებელია და პირდაპირ მიუთითებს მასობრიობის ზრდაზე.

შეჯიბრებაზე ერთი საინტერესო სიახლეც გამოსცადეს, რამაც ნამდვილად გაამართლა - ტურნირში ცალკე ჯგუფად დაუშვეს ე.წ. დეზიუტანტებიც, ანუ დამწყები სპორტსმენებიც, ვისაც შედარებით საყურადღებო შედეგები ჰქონდათ. გამოცდილების მისაღებად ისინი ჩემპიონატში დაუშვეს და არც წაუგიათ, რადგან ეს ნაბიჯი მათთვის დიდი სტიმული გამოდგა. მართალია, შედეგები ჯერ შორსაა არათუ მოწინავე, არამედ ქართული სტანდარტებისგანაც კი, მაგრამ კიდევ ვიმეორებთ, მათ ახალი დანაწყოები აქვთ ვარჯიში, თან უმეტესობა ასაკითაც ძალიან პატარაა და ეგეც არ იყოს, მათი გახარებული სახეები ნამდვილად ღირდა ანაღ. ამ პატარებს, დარბაზში რომ სულ რამდენიმე კვირის წინ გამოჩნდნენ, ალბათ, არასოდეს დაავინწყებდათ თავიანთი პირველი კვარცხლბეკი, რომელსაც ზოგი ძლივს შესწვდა. ამას ცოცხალ ლეგენდასთან - ნინო სალუქვაძესთან შეხვედრაც დაემატა, რომელმაც დააჯილდოვა ბავშვები, მათთვის არც საქებარი სიტყვები და ადამიანური სიტბო დაიშურა, ლამის ყველას ცალ-ცალკე მოეფერა, შეაქო და სურათებიც გადაიღო მათთან. ეს ყველაფერი პატარებისთვის დიდი ზეიმი აღმოჩნდა.

თავად ტურნირს რაც შეეხება, ის ერთი სიახლით ჩატარდა - ფინალური სერიაც გაიმართა, ოღონდ ფინალში, 8-ის ნაცვლად, 4 სპორტსმენი დაუშვეს. ეს ტექნიკური პრობლემის გა-

მო მოხდა - ტირში სულ 5 ელექტროფარია. სწორედ ამ მიზეზით, ადრე, ფინალურ სერიებს საერთოდ არ ატარებდნენ, მაგრამ ახლა შეცვალეს, ფინალში სულ სხვა წესებით ისვრიან და ფედერაციამაც გადაწყვიტა, ადგილზე ეჩვენებინა ეს თავისურება ჩვენი ახალგაზრდებისთვის. ამით გამოცდილება მიიღეს როგორც ფინალისტებმა, ასევე მაყურებლის როლში დარჩენილებმაც. თუმცა ფინალი მაინც წესების დაცვით ჩატარდა, ანუ 24 გასროლა შეასრულეს.

გოგონების ტურნირი ახალგაზრდებში ევროპისა და მსოფლიოს მესამე პრიზიორის, ქუთაისელი ლიზი კილაძის ტრიუმფით წარმართა, რომელმაც საკვალიფიკაციო ეტაპზეც იმარჯვა და შემდეგ არც ფინალში დათმო პირველობა. საბოლოოდ, გოგონებში სიურპრიზი მაინც მივიღეთ - მეორე ადგილზე ახალგაზრდული ნაკრების დებიუტანტი, თბილისელი მარიამ ქობულაშვილი წავიდა, მან ფინალში ამ ასაკში მეორე ლიდერის, ნინო ხუციბერიძის დამარცხება შეძლო.

ბიჭებშიც, ამ ასაკის ლიდერმა, გუნდურში ევროპის მესამე პრიზიორმა აკაკი მოსულიშვილმა გაიმარჯვა, თუმცა მას გაცილებით მეტი ძალისხმევა დასჭირდა, რადგან ფინალში ნიკა მასჭარაშვილი დიდი ბრძოლა გაუმართა. ის ფინალში ერთხანს ლიდერობდა კიდევ, მაგრამ, საბოლოოდ, გადამწყვეტი მაინც გამოცდილება აღმოჩნდა - ბოლო სერიებში ანერჯიულდა და დაბალი შედეგები აჩვენა, ბევრად გამოცდილმა მოსულიშვილმა კი პირიქით, ნერვები კარგად მოთოკა და, ძირითადად, 10-იანებში გაატყა.

- გოგონები: 1. ლიზი კილაძე (ქუთაისი) - 233.7 ქულა 2. მარიამ ქობულაშვილი (თბილისი, ტს) - 228.5 3. ნინო ხუციბერიძე (ქუთაისი) - 208.3

- ბიჭები: 1. აკაკი მოსულიშვილი (თბილისი, ტს) - 233.9 ქულა 2. ნიკა მასჭარაშვილი (თბილისი, სკა) - 231.7 3. მაქს პლენინგერი (თბილისი, ტს) - 206.9

- შერეული წყვილები: 1. 752 ქულა ლიზი კილაძე (ქუთაისი) - 375 996, 94, 91, 940 აკაკი მოსულიშვილი (თბილისი, ტს) - 377 995, 92, 97, 930 2. 737 ქულა მარიამ ქობულაშვილი (თბილისი, ტს) - 367 992, 91, 91, 930 მაქს პლენინგერი (თბილისი, ტს) - 370 991, 93, 94, 920 3. 731 ქულა ნინო ხუციბერიძე (ქუთაისი) - 364 992, 87, 92, 930 იოანე ხვარეშია (ქუთაისი) - 367 993, 89, 93, 920

- დებიუტანტები, გოგონები: 1. მარიამ მარაშაძე (თბილისი, ტს) - 357 989, 86, 91, 910 2. მარიამ ომსარაშვილი (თბილისი, ტს) - 347 987, 84, 88, 880 3. ვიკა ქებაძე (თბილისი, ტს) - 345 987, 85, 90, 830


- ბიჭები: 1. თემურ გუგუშვილი (თბილისი, ტს) - 337 987, 79, 86, 850 2. ლამა შავშიშვილი (თბილისი, ტს) - 327 980, 80, 86, 810 3. ლევან ხრიკაძე (თბილისი, ტს) - 326 982, 86, 79, 790



ფართა სამყაროში ნაკოვნი თავისუფლება

ელენე კონჯარია თბილისის შპს „თამარიონის“ სკოლის მე-9 კლასის მოსწავლეა. გამორჩეულს ზრდილობით, კეთილშობილებით, სითბოთი და სიყვარულით, სრულყოფს საშობაო ნიჭი ხელოვნებისა. ულამაზეს ფართა სამყაროში პოვებს თავისუფლებას და ფრთაშესხმული დაქრის ზღაპრიდან ზღაპარში, გუნებიდან პერსონაჟთა ხასიათებში და ცდილობს, აღქმული და ნაბრძნობი უცვლელად მოიტანოს ჩვენამდე. სასიამოვნოა ელენეს შემოქმედებითი ნიშნუების სიღრმე.

ნინო განდელიძე
სკოლა „თამარიონის“ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი



ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №126, სართული II, ოთახი №14
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.akhaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com
რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“
ს/კ 202058735, ა/ა GE86BG000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >
ფასი - 1 ლარი 90 თეთრი